

ნიმო შარაშენიძე

# როგორ ვწავროთ უკეთესად

სავარჯიშოების კრებული

უფროსკლასელებისა და  
აბიტურიენტებისათვის



ნინო შარაშენიძე

როგორ ვწავროთ უკეთესად  
სავარჯიშოების კრებული

უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

რედაქტორები

სოლომონ ნოზაძე  
ლალი ბაქრაძე  
ლალი ქადაგიძე

კონსულტანტი

მზექალა შანიძე

გარეკანის დიზაინი

გიორგი ტაბლიაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება  
კახა გოგსაძე

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2007

ყველა უფლება დაცულია

პირველი გამოცემა 2007

ISBN 978-9941-11-007-8

გამომცემლობა „დიოგენე“  
თბილისი, კეკელიძის ქ. 6  
ტელეფონი 956394, ტელ./ფაქსი 967971  
[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

„როგორ ვწეროთ უკეთესად“ პრაქტიკული სავარჯიშოების კრებულია. მისი მიზანია, XI კლასის სტანდარტით გათვალისწინებული ენობრივი საკითხების აქცენტირებით დაეხმაროს მოსწავლეს წერიტი მეტყველების სრულყოფაში.

მრავალფეროვანი სავარჯიშოები პუნქტუაციის, ფრაზეოლოგიზმების, სინონიმის და სხვადასხვანაირი ენობრივი კონსტრუქციების უკეთ დაუფლებას შეუწყობს ხელს. კრებული შეიცავს წერიტი მეტყველებაში ოფიციალური და საქმიანი სტილის გამოყენების ნიმუშებს და თვითშემოწმების ტესტებსაც.

#### შინაარსი

1. ისევ პუნქტუაცია	4
2. ჯერ ვგეგმავთ, შემდეგ ვწერთ	9
3. ენით გამოხატული სამყარო	15
4. სიტყვის ძალა	20
5. როგორ გამოვხატოთ სათქმელი	25
6. ვწერთ ოფიციალური სტილით	38
7. ტესტები	45
8. პასუხები	50

## ისევ კუნძულებია...

**პუნქტუაცია** მართლწერის შემადგენელი ნაწილია და სასვენი ნიშნების სწორად დასმის წესებს შეიცავს. იმისათვის, რომ უკეთესად ვწეროთ, პირველ რიგში, სასვენი ნიშნების სწორად გამოყენების წესები გავიხსენოთ, რადგან სასვენი ნიშნების გარეშე ან მისი არასწორი გამოყენებით ტექსტი შეიძლება გაუგებარი გახდეს. გარდა ამისა, პუნქტუაცია კარგად ავლენს პიროვნების წერიტი კულტურის დონეს,

### დავიმასწოვოთ

**წარტილი** იწერება თხრობითი წინადადების ბოლოს. **დღეს კარგი ამინდია.**

**კითხვის ნიშანი** იწერება კითხვის შემცველი წინადადების ბოლოს. **სად მიდიხარ?**

**ქასილის ნიშანი** იწერება ემოციის ან გრძნობის გამომხატველი წინადადების ბოლოს. **რა ლამაზია! როგორ მეშინია!**

**კითხვა-ქასილის ნიშანი** იწერება ისეთი წინადადების ბოლოს, რომელიც კითხვასაც შეიცავს და ასევე რაიმე გრძნობას ან ემოციას... **განა ასეთი დაუდევრობა შეიძლება?!**

**წარტილ-მიძი** იწერება ისეთი წინადადების ბოლოს, რომელშიც აზრი ნაწილობრივ დამთავრებულია, მაგრამ მომდევნო წინადადება იმავე აზრს აგრძელებს, რასაც წინა გამოხატავს. **გურამთან შესახვედრად ყველანი წავიდნენ; მეც წავედი, რადგან წაუსვლელობა არ იქნებოდა.**

**მრავალწარტილი** იწერება დაუსრულებელ ან შეწყვეტილ წინადადებაში, ან ისეთ წინადადებაში, რომელშიც გამოხატულზე უფრო მეტი იგულისხმება. **რალაც მინდა გითხრა... თუმცა... ალბათ სხვა დროისთვის აჯობებს თქმა...**

**ტირა** იწერება გამოტოვებული წევრის ნაცვლად და განმაზოგადებელი სიტყვის (ყველა, ყოველი, ყველაფერი...) წინ, აგრეთვე დიალოგში ყოველი ახალი რეპლიკის წინ. **ერთ ბიჭს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე. ცხელი კერძები, სასმელი, ხილი, ტკბილეულობა – ყველაფერი უხვად ელაგა სუფრაზე.**

**ორი წარტილი (ორწარტილი)** იწერება:

- ჩამონათვალთან, თუ მას წინ უძღვის განმაზოგადებელი სიტყვა: **ყველაფერი ბევრი მქონდა ნაყიდი: ხილი, ბოსტნეული, ხორცი, ტკბილეულობა.**
- დიალოგში, ავტორის სიტყვების შემდეგ: **ლუარსაბმა ჰკითხა: – საჭმელი გვაქვს?**
- ციტატის მოყვანის წინ: **ილია „მგ ზავრის წერილებში“ წერს: „მოდრობა და მართო მოძრობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი.“**

**ბრჭყალაში** იწერება:

- ციტატა;
- სახელწოდება (გაზეთის, ჟურნალის, ნაწარმოების, კინოფილმის, სპექტაკლის, გემის...): **ჟურნალი „მნათობი“.**
- ირონიულად გამოყენებული სიტყვები: **ლუარსაბი დიდად „გონიერი“ გახლდათ.**

**მიძი** იწერება სამ შემთხვევაში:

- ერთგვარ წევრებს შორის შერწყმულ წინადადებაში. **ქალი, კაცი, ბავშვი, მოხუცი, ახალგაზრდა – ყველა მოგროვდა ახალი ამბის შესატყობად.**
- განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან. (განკერძოებული სიტყვები ყოველთვის გამოიყოფა მძიმეებით წინადადების წევრებისაგან).
  - განკერძოებული განსაზღვრება:** **შემოდგომის ტყე, ათასწრად აელვარებული, საოცარი სანახავი იყო.**
  - განკერძოებული გარემოება:** **ზეგ, სამშაბათს, დღის თორმეტ საათზე, დანიშნულია შეხვედრა.**
  - დანართი (დამატებითი ინფორმაცია):** **ლუარსაბი, გვარად თათქარიძე, წოდებით თავადი, კახეთის ერთ სოფელში ცხოვრობდა.**
  - ჩართული (მთქმელის დამოკიდებულება ნათქვამისადმი):** **ეს ამბავი, რასაკვირველია, ყველას გაუხარდა.**
  - მიმართვა (წოდებით ბრუნვაში დასმული სახელი):** **მე ვფიქრობ, გურამ, შენ არა ხარ მართალი.**
  - მიგებითი ნაწილაკი (დადასტურებითი: ჰო, ხო, კი, დიახ; უარყოფის: არა, ვერა):** **არა, არ მინდა.**
  - შორისდებული (ემოციის გამომხატველი ფორმა):** **ყოჩაღ, ჩემო მეგობარო!**
- როულ წინადადებაში შემადგენელ წინადადებათა საზღვარზე. **მე რომ მოვედი, ის წასული დამხვდა.**

სხვა შემთხვევაში მიძი არ იწერება – ეს კარგად დაიმასწოვრეთ და გაითვალისწინეთ;

### საპარჯიშოები

I. დასვით დიალოგებში სასვენი ნიშნები:

- გაიხედე გაიხედე ცხენი უყურე ცხენები  
მაგრამ ბავშვი გარეთ არ იხედებოდა დაღვრემილი იყო  
შენ გენაცვალოს დედა ჩემო ტიკტიკავ გცხელა შემოგველე წყალი ხომ არ გინდა

ბავშვი მაინც არაფერს ამბობდა  
აბა შემომხედე  
მაშინ გიორგი შემობრუნდა და უთხრა  
არ გინდა უკეთესია დაიძინოს

2. დიდი და პატარაობა სად არ არის თქვა ლუარსაბმა აი თუნდ თითებზე დაიხედეთ ერთი დიდია მეორე პატარა რისთვის იმისთვის რომ ღმერთს ასე გაუჩენია დიდი და პატარა ყველგან უნდა იყოს აბა დაიხედე განა არ დამიხედია შენი ჩირიმე დიდიც არის პატარაცა მაგრამ დაილოცა ღვთის სამართალი ისე გაუჩენია რომ ერთმანეთს არ უშლიან თქვა ცბიერმა დათომ  
მაშ ყველგან არის დიდი და პატარა ახლა როგორ იქნება რომ ჩვენში არ იყოს ან რა დასაჯერია გააგრძელა ლუარსაბმა და ვერ გაიგო კი დათოს აზრი

3. ვინა ხართ იკითხა ისევ იმ უცნობმა რომელიც პირველად გამოელაპარაკა ჩვენ წმინდა სამების ყმები ვართ იყო პასუხი  
სად მიდიხართ  
გოჩასთან  
საიდან მოდიხართ  
უშიშრად ეპასუხებოდა ერთი მომავალთაგანი რომელმაც დაუმატა ონისე შენა არა ხარ  
ჰო მე ვარ უპასუხა ონისემ და პირისახის ახლოს მიტანით ჩააკვირდა უცნობს აჰუ ველარ გიცან თოლიკა მოხველ მშვიდობით  
მშვიდობა მოგცეს უფალმა უპასუხა ახლადმოსულმა და დაუმატა გოჩა სადაა იმისი ნახვა გვესწრფვის იარეთ მიუგო პასუხი ონისემ და გაუძღვა წინ

4. ნაიკითხეთ ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა „ტრაგედია უგმირით“, ტექსტი სასვენი ნიშნების გარეშეა წარმოდგენილი, დაუკვირდით და დასვით სათანადო სასვენი ნიშნები:

### ტრაგედია უგმირით

შეუგნებლად დაერიდა ბავშვების სივილს გამოვიდა ქოხიდან გადაიარა ეზო უგზო-უკვლოდ მიდიოდა სადღაც ყანაში ჩამოჯდა ქვაზე ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში ცალკეული სიტყვები გაიღვებდნენ ნაპერწკალივით ჭადი ბავშვები ხარი ისევ ადგა ჯერ შარაგზას გაყვა მერე ორლობეში შეუხვია დაუძახა ვილაცამ მოიხედა გუშინწინ რომ მთხოვე ფქვილი ღმერთია მონამე არ მქონდა აი დღეს ქე მაქ ცოტა და ნახევარ ჯამს გიზ-იარებ ოლონდ არ დამლუპო იმ პარასკევს უნდა დამიბრუნო  
მომეცი მოკლედ მოუჭრა და ლობეს მიადგა  
ამ ტოპსიკას ნუ გამომიგზავნი მე თვითონ წამოვიღებ  
ადგილიდან არ იძროდა და ხმასაც არ იღებდა  
რა დაგემართა კაცო  
არაფერი  
ნუ გეშინია ღმერთი მონყალეა ჩვენკენაც მოიხედავს  
ნელა შემობრუნდა უხმოდ მოშორდა მოხუც დედაკაცს თავის ნათლიას რომელიც გულში ფიქრობდა შენი მტერია ეს ნახევარი ჯამი ფქვილი კი დავკარგე მარა ჩემი რძალი მაინც არ გაიგებდეს რას უშველის საწყალს ნახევარი ჯამი ეს ღმერთო ღმერთო

\*\*\*

მამა ფქვილი მოიტანე ასხრიალდნენ ბავშვები  
გვაჭამე  
კი შვილო კი ბიჭო ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს  
ბავშვებს უთქმელად მოჰქონდათ ფიჩხი ანთებდნენ ცეცხლს აწყობდნენ და ასწორებდნენ კეცებს  
მამამ წყალში მოზილა ცომი და გავარვარებულ კეცებს დააკრა ბავშვების მოუთმენლობამ მოაგონა რომ კარგი იქნებოდა ჭადების გამოცხობამდი მათი თავიდან მოშორება  
აბა ბიჭებო წადით და ბიცოლა ეფროსინეს ოხრანაში გამოართვით ბევრი აქვს მოგცემთ  
ჭადი აილო გატეხა გასაგრელებლად დაბერა და გასასინჯად ლუკმა პირში ჩაიდო მთელ სხეულს გამოუთქმელი მადა აღეძრა  
მეორე ლუკმა  
სწავდა ენას და მაინც სჭამდა  
ბავშვები შემოვარდნენ  
მომეცი მამა  
მეც  
გადით თქვე გასაწყვეტლებო  
მამა მამა  
მამა ერთი ლუკმა

ბავშვები ცალი ხელით მილახა და ლაფაროში გაყარა აქედანაც თვალზე ცრემლმომდგარი ბავშვები ძალღებვით კნაოდნენ და იძახდნენ

მამა გვაჭამე

ყურადღებას არ აქცევდა მერე ერთიანად ჩაიმუჭა პირში ბავშვების მიერ მოტანილი ოხრაბუში და ნავიდა გადავიდა ტევრში მინვა კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანებული თვალგახილული მთვლემავი

ნამოინია დაჯდა

ბავშვების სივილი მოაგონდა

მე შევჭამე

ბავშვებს არაფერი ვაჭამე

ღმერთო რა მომივიდა

სირცხვილი ხალხს რაღა ვუთხრა ვაი თუ დაიხოცნენ

ადგა მივიდა ბავშვებთან

შეტრუცული ბჟოლის ძირში მიგდებულიყვნენ ეძინათ მამა მიუნვა ცრემლი შეჩერებოდა ნამნამზე თავს იკავებდა არ გავალვიძო მაინც რა ვქენი რა ვქენი დედა ხომ არ იზამდა

უმცროსს გამოელვიდა გაუკვირდა ჩააჩერდა მამას

მამა წყნარად დაიწყო ბავშვმა

რა შვილო ნაზად უპასუხა

მთლად შეჭამე

?!

მამა ცოტა იქნებ დაგრჩა მომეცი მუცელი მტკივა არ გაგამხელ

მამას ზღუქუნი წასკდა

პატარა ბავშვსაც გაელვიდა მშია მშიას ძახილით

მამა ნამოიჭრა ეზო გადაირბინა ვენახში მოხვდა გაბმული ცხვარი სძოვდა ახსნა გავიდა ხეზე დაჯდა ბანარი ტოტს მაგრად მიაბა მარყუყვი გამოსკვნა მეორე ბოლოში გასინჯა კისერზე თუ მომიჭერსო და

\*\*\*

კეთილი ბებერი ნათლია იფოფრებოდა ღმერთო ღმერთო რა დროს მომასწარი რა საცოდაობა დატრიალდა ვინ მოუვლის დამშეულ ობლებს

რაღა ჩემს ვენახში რაღა ჩემი კარის უკან ჩემი ბანრით ჩამოიხრჩო თავი ამ ოჯახქორმა ბრაზობდა და იწყებოდა მეზობელი რომელსაც ამ შემთხვევის გამო ვინ იცის რა მოელოდა

## II. დასვით მძიმეები:

1. დღეს თანამედროვე ადამიანს დატვირთული ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე პრაქტიკულად დარღვეული აქვს კვების ნორმალური და სრულფასოვანი რეჟიმი. ამის გამო ხშირად უწევს ისეთი საკვების მიღება როგორცაა ბუტერბროდი ჰამბურგერი დ ა. შ. უნდა გახსოვდეთ რომ დროის დეფიციტის გამო სწრაფად ჭამა მით უფრო ფეხზე დგომით ძალიან მავნებელია ორგანიზმისთვის. სწრაფად ჭამა უპირველესად აზიანებს საჭმლის მომნელებელ სისტემას.

2. ისევე როგორც ცალკე სიტყვას ხშირად საინტერესო თავგადასავალი აქვს მთლიან გამოთქმას ფრაზას რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ხოლმე საუბრის დროს ან ვხვდებით მხატვრულ ნაწარმოებში. ამგვარ გამოთქმებს დაკარგული აქვთ პირდაპირი მნიშვნელობა და ვხმარობთ გადატანით ხატოვნად ამიტომაც მათ ხატოვანი ან ფრთიანი გამოთქმები უცხო ტერმინით იდიომები ზოგჯერ კიდევ ფიგურალური გამოთქმები ეწოდება

3. ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელი სახელად გიორგი გვარად მაღალაშვილი ეროვნებით ქართველი აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა 2001 წელს. მას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული სახელდობრ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. როგორც წარჩინებული სტუდენტი იგი ლეზულობდა სახელობით სტიპენდიას კერძოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიას. გიორგი მაღალაშვილი გამოირჩეოდა კარგი დისციპლინით. მასწავლებლები ანუ ლექტორები მას კარგად ახასიათებენ. კარგი სწავლისათვის მან დამსახურებულად მიიღო წითელი დიპლომი ანუ წარჩინების მოწმობა. ესე იგი იგი სრულიად ჩამოყალიბებული და პერსპექტიული სპეციალისტი გახდა. შემდგომ პერიოდში მან დიდ წარმატებებს მიაღწია. მაგალითად იგი ორჯერ იყო არჩეული პარლამენტის დეპუტატად იყო დანიშნული მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ზოგადად შეიძლება ითქვას რომ იგი ხასიათდება უაღრესად დადებითად.

4. სამწუხაროდ ბოლო დროს იმატა მოზარდთა დანაშაულებების რიცხვმა. უპირველეს ყოვლისა ეს არის მთელი საზოგადოების პრობლემა. ჩვენდა სავალალოდ ამას ემატება ნარკომანიის პრობლემა და დიდი პროცენტი უმუშევრობისა. უეჭველია ამ საკითხზე აუცილებლად უნდა დაფიქრდეს ყოველი ჩვენგანი. რა თქმა უნდა არსებობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და პროგრამები რომლებიც ახალგაზრდა თაობის პრობლემებზე მუშაობენ მაგრამ როგორც ჩანს ეს არაა საკმარისი. მე რომ მკითხოთ ამაში უპირველეს ყოვლისა ოჯახის როლი უნდა გავითვალისწინოთ. ოჯახს არც მეტი არც ნაკლები გადამწყვეტი როლი უჭირავს

მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. როგორც წესი პიროვნების განვითარება მიმდინარეობს ოჯახში და საზოგადოებაში. ჩვეულებრივ მოზარდისათვის საზოგადოებასთან ურთიერთობა სკოლით იწყება. როგორც ჩანს პრობლემის გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკოლასაც. ჩემი აზრით იგი ისეთ ადგილად უნდა გადაიქცეს სადაც მოზარდი ვალდებულია არ ივლის არამედ სკოლა მისი ცხოვრების განუყოფელი და სასიამოვნო ნაწილი უნდა გახდეს.

5. თქვენ მოწმე ბრძანდებით და ყველაფერი მართალი უნდა თქვით იცით ეს?

- დიახ რა თქმა უნდა
- აბა გისმენთ

მე ჩვეულებრივ დილით ადრე ვდგები ხოლმე. როგორც წესი პირს ვიბან ვსაუზმობ და სამსახურში მივდივარ. იმ დღესაც ასე მოხდა. მოგეხსენებათ ჩემი სამსახური სახლიდან არც ისე შორსაა და როგორც წესი სამსახურში ფეხით მივდივარ. სამსახურს რომ მივუახლოვდი კარებთან უცხო მანქანა იდგა. მას კარგად შევხედე და დავაკვირდი კიდევ რადგან დავეჭვდი. იგი უნომრო იყო. როგორც ცნობილია ამგვარი რამ იშვიათად ხდება. დავაკვირდი მანქანას დავინტერესდი ასე ადრე რა საქმე ჰქონდათ ჩვენს სამსახურში უცნობ ადამიანებს. იქიდან ერთი სათვალისანი კაცი გადმოვიდა და ჭიშკარში შევიდა. მე უკან მივყევი. იგი ეზოში შევიდა მიმოიხედა შენობის კუთხისკენ წავიდა და შეჩერდა. ეტყობა ვიღაცას ელოდებოდა. მე როგორც ყოველთვის კარებისკენ წავიდა შენობაში შევედი და ჩემი ოთახისკენ გავეშურე. როგორც ხშირად ხდება ხოლმე რაღაც საქვო დაგაინტერესებს კიდევ... ჩემი ოთახის ფანჯრიდან იმ კაცს დავუხეი ყურება. ყველაფერი კარგად ჩანდა ჩემგან: ეზოც კაციც და მანქანაც. საერთოდ ცნობისმოყვარე ვარ. დავინახე რომ იმ კაცს მეორე კაცი ისიც უცნობი მიუახლოვდა. კარგა ხანს ილაპარაკეს მერე სათვალისანი გარეთ დაელოდა მეორე კი უკან შევიდა შენობიდან ჩანთით რაღაც გამოიტანა სათვალისანს გადასცა რაღაც უთხრა და მერე ორივე ერთად გავიდნენ ეზოდან. სათვალისანი მანქანაში ჩაჯდა მეორე კაცი კი ქუჩას აჩქარებული ნაბიჯებით გაუყვა. აი ეს ვნახე იმ დღეს დილით ადრე ჩემს სამსახურთან.

- კარგი დაბრძანდით.

საზოგადოდ მოწმის ჩვენებას იწერენ და შემდეგ ის ოქმს ხელს აწერს. მეც ასე მოვიქცე?

- რა თქმა უნდა. აი ეს წაიკითხეთ და თუ თქვენს მონათხრობს ემთხვევა აქ ხელი მოაწერეთ.

## ჩვენ თავად ვქმნით ტექსტს.

გაითვალისწინეთ, ჩართული სიტყვები და გამოთქმები მძიმეებით გამოიყოფა წინადადების სხვა წევრებისაგან, რადგან იგი მთქმელის დამოკიდებულებას წარმოაჩენს გამონათქვამისადმი. აქვე მოცემულია ჩართული სიტყვები და გამოთქმები, გაითვალისწინეთ სასვენი ნიშნების გამოყენება, ამავე დროს გამოთქვით თქვენი აზრი რაიმე თემაზე და ჩართულის გამოყენებით გამოკვეთეთ თქვენი დამოკიდებულება უფრო მკვეთრად. ეს სავარჯიშო წერიტი კულტურის განვითარებაშიც დაგეხმარებათ.

ჩართული სიტყვები და გამოთქმები მნიშვნელობისა და შინაარსის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად ერთიანდება:

- **მთქმელი წინადადებით გამოხატულ აზრს აფასებს როგორც უეჭველს, უტყუარს, ნამდვილ ფაქტს:** რასაკვირველია, რა თქმა უნდა, ცხადია, თავისთავად ცხადია, უეჭველია, მართლაც, ტყუილია, მე რომ მკითხოთ, რამდენადაც მახსოვს, არც მეტი არც ნაკლები, ყოველ შემთხვევაში, სულ ერთია, სულ დიდი, ბოლოსდაბოლოს...
- **წინადადებით გამოთქმული აზი შეფასებულია როგორც ვარაუდი, საეჭვო, სათუო ან საეგებიო:** მგონი, მგონია, ვგონებ, როგორც ჩანს, ჩანს, ეტყობა, ეტყობოდა, როგორც ვატყობ, ცოტა არ იყოს, თუ არ ვცდები, როგორც ვხედავ(თ), კაცმა რომ თქვას, ვინ იცის, იქნება, ვფიქრობ, ერთი შეხედვით, ერთი ც ვნახოთ, ვთქვათ, ასე თუ ისე...
- **ჩართული გამოთქმები აფასებს ფაქტს ჩვეულებრიობის, აღიარებული ჭეშმარიტების ან განზოგადების თვალსაზრისით:** ჩვეულებრივ, როგორც წესი, წესის თანახმად, როგორც ვიცი, როგორც ცნობილია, როგორც ყოველთვის, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საერთოდ, საზოგადოდ...
- **ჩართული გამოხატავს მთქმელის გრძნობას, რომელიც ემოციურად აფასებს წინადადებით გამოხატულ აზრს:** სამწუხაროდ, საბედნიეროდ, საუბედუროდ, ჩვენდა სასიხარულოდ, ბედად, რაღაც ბედად, რაღაც ეშმაკად, ღვთით, ღვთის შეწევნით, ჩემდა იღბლად, რა ვქნა, მტრისას...
- **ჩართული მიუთითებს წინადადებაში გამოთქმული აზრის წყაროს, აღნიშნავს, თუ ვისი კუთვნილებაა იგი:** ჩემი აზრით, შენი აზრით, მაგის აზრით, რომ იტყვიან, ხალხის თქმულებით /თქმით, ამბობენ, როგორც ძველად ამბობდნენ, გაზეთების ცნობით, მისი / ჩემი წარმოდგენით...

- ჩართული გადმოცემულია მეორე პირის ფორმით და ხაზს უსვამს წინადადებით გამოთქმულ აზრს ან ემოციას: ნუ გაგიკვირდებათ, წარმოიდგინეთ, მოგეხსენებათ, თუ გნებავთ, როგორც გეტყობათ, როგორც მოგეხსენებათ, თქვენ წარმოიდგინეთ, იცით, ასე იფიქრეთ, ასე გასინჯეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი...
- ჩართული გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრებთან: ჯერ ერთი, ... მეორე(ც), თანაც, ერთი მხრივ, ... მეორე მხრივ, პირველი, ... მეორე, ერთი სიტყვით, ამგვარად, ასე და ამრიგად, მაშასადამე, დასასრულ, როგორც ვთქვით, როგორც აღვნიშნეთ, როგორც ზევით ვთქვით, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, როგორც მოგახსენეთ, ვიმეორებ, ასე რომ, უფრო მეტიც, მით უმეტეს, მოკლედ, ამასთანავე, სხვათაშორის, მათ შორის, სიტყვაზე, მაგალითად, პირიქით, სამაგიეროდ...
- ჩართულია საალერსო სიტყვები, ფიცის ფორმულები: შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენი კვნესამე, თავს შემოგვევლე, გეთაყვანე, გეთაყვა, დედაშვილობამ, ძმობამ, შვილოსა, ღმერთმანი, ჩემმა მზემ, შენმა მზემ, გეფიცები...

**სავარაუდო თემები:**

<p>მე და სამყარო. მომავალი სწორედ დღეს იწყება როცა წვიმს. ფიქრები, ფიქრები... რაზე ოცნებობენ ადამიანები... ოცნება და სინამდვილე. გრძნობა და გონება. ნარკომანია – ერის პრობლემა რა არის დღეს ვაჟკაცობა</p>	<p>თაობები, თაობები... ყველა თაობის საფიქრალი... ყველა თაობას თავისი საფიქრალი აქვს.. დღევანდელი თაობის მთავარი პრობლემა ეკოლოგია საზოგადოების საფიქრალია მე და საზოგადოება მე და ჩვენ. მე და ისინი. რა არის ადამიანის ცხოვრების აზრი</p>
---	---



## ჯარ ვეგეანობა, უმჯობესი ვარიანტი...

თქვენ რამდენიმე სახის ტექსტის შექმნა გინევთ; გაქვთ რაიმე პრინციპი, რომლითაც ქმნით ტექსტს, მაგალითად ესეს?

### I. ტექსტის შექმნა

1. როგორ იწყებთ წერას? პირდაპირ თუ გეგმას წერთ?

გაითვალისწინეთ, თუ როგორ უნდა წეროთ უკეთესად:

#### I. ტექსტის შექმნას წინ უნდა უძღოდეს მოსამზადებელი პერიოდი და სამუშაო:

- კარგად გაიაზრეთ სათაური, რადგან თქვენი თხზულება უნდა უპასუხებდეს სათაურს; თქვენი ნააზრები ლოგიკურად და ორგანულად უნდა უკავშირდებოდეს სათაურს; სათაური, ფაქტობრივად, უმოკლესი ფორმით უნდა გამოხატავდეს ტექსტში განვითარებულ მოსაზრებას.
- თუ სათაური არა გაქვთ მოცემული, მაგრამ მოგეთხოვებათ მითითებებზე პასუხი, ჩათვალეთ, რომ თითოეული მითითება არის თქვენ მიერ შექმნილი ტექსტის სათაური და ეცადეთ, ისე განავითაროთ მსჯელობა, რომ თითოეული მონაკვეთი ლოგიკურად შეესაბამებოდეს თითოეულ მითითებას;
- სათაურის ან დავალების გააზრების შემდეგ დაფიქრდით იმ მასალაზე, რომელიც მსჯელობის განვითარებისათვის უნდა გამოიყენოთ. პირველ რიგში, სწორედ მასალას მოუყარეთ თავი და დაალაგეთ იგი გარკვეული თანმიმდევრობით. გაითვალისწინეთ, რომ თანმიმდევრულად დალაგებული მასალა კარგი საშუალება გახდება მოსაზრების სწორად და ლოგიკურად განვითარებისათვის;
- შეადგინეთ მცირე გეგმა, რომელსაც მიჰყვებით მსჯელობისას; გეგმის შედგენა საშუალებას მოგცემთ, კიდევ დაფიქრდეთ აზრის ლოგიკურად განვითარების პროცესზე და, ამასთანავე, დროულად შეძლებთ გარკვეული ცვლილებები შეიტანოთ თქვენს მსჯელობაში; ნუ მოერიდებით გეგმაში ცვლილებების შეტანას მანამ, სანამ თქვენთვის სასურველ დასკვნემდე ლოგიკურად არ მიხვალთ;
- გეგმის კარგად შედგენის შემდეგ შეიძლება დაიწყოთ წერა.

### II. ტექსტის შექმნა

1. წერთ თუ არა შავად?
2. ფიქრობთ თუ არა იმაზე, რა თანმიმდევრობით უნდა განავითაროთ აზრი თქვენს ნაწერში და რა ფორმა უნდა მოუძებნოთ თქვენს ნააზრებს?
3. ცდილობთ თუ არა თქვენ მიერ შედგენილი ტექსტის ყოველი მონაკვეთი ლოგიკურად უკავშირდებოდეს ერთმანეთს?

#### II. ტექსტის შექმნისას რამდენიმე საკითხზე უნდა დაფიქრდეთ:

- რა ტიპის ტექსტს ქმნით;
- რა სახის სტილს იყენებთ;
- რა არის თქვენი მიზანი;
- ავითარებთ თუ არა ლოგიკურად თქვენს მოსაზრებას;
- თქვენი მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს თუ არა დასკვნა;

ყოველი ტიპის ტექსტი ძირითადად სამი ნაწილისაგან შედგება:

1. შესავალი
2. ძირითადი ნაწილი
3. დასკვნა

ყოველ ნაწილში აზრი ლოგიკურად უნდა იყოს განვითარებული.

1. **შესავალ ნაწილში** თქვენ უნდა ეცადოთ თავიდანვე გამოკვეთოთ თქვენი სათქმელი და ამასთანავე უნდა შეარჩიოთ შეასაფერისი სტილი (მხატვრული, სამეცნიერო, პუბლიცისტური)
2. **ძირითად ნაწილში** უნდა განავითაროთ მსჯელობა, დაასაბუთოთ თქვენი მოსაზრება და გაამყაროთ იგი კონკრეტული ტექსტიდან მოყვანილი ციტატებით ან სხვა, თქვენ მიერ მოძიებული არგუმენტებით;
3. **დასკვნით ნაწილში** უნდა შეაჯამოთ თქვენი მსჯელობა და კიდევ ერთხელ გამოხატოთ თქვენი მოსაზრება განსახილველ საკითხზე.

### III. ტექსტის დაგუზავება და მისთვის საბოლოო სახის მიცემა

1. გადაიკითხავთ თუ არა ხოლმე თქვენს ნაწერს დასრულების შემდეგ?
2. შეგაქვთ თუ არა ჩასწორებები? ძირითადად რა სახის ჩასწორებებს აკეთებთ?
3. შესწორებების შემდეგ ხელახლა გადანერთ თუ არა ტექსტს? უცვლელად გადაიტანთ თუ გადანერის პროცესში კიდევ ახდენთ შესწორებას?

**III. ტექსტის საბოლოო ვარიანტის შექმნისას გაითვალისწინეთ:**

- კარგად გადაიკითხეთ თქვენ მიერ შექმნილი ტექსტი;
- კიდევ ერთხელ გადახედეთ გეგმას, შეამოწმეთ, გაითვალისწინეთ თუ არა იგი სრულად;
- კიდევ ერთხელ დაუკვირდით, მიაღწიეთ თუ არა იმ მიზანს, რაც შესავალში გამოკვეთეთ, ანუ მსჯელობისას გაითვალისწინეთ თუ არა სათაური ან მითითებები?
- დაუკვირდით, შეძელით თუ არა მკითხველისთვის სრულად, უდანაკარგოდ მიგენოდებინათ თქვენი მოსაზრება; თუ არა, შეეცადეთ დაუმატოთ რაიმე ტექსტს;
- თამამად გამოთქვით თქვენი მოსაზრებები და თქვენი დამოკიდებულება; ამისათვის შეარჩიეთ ენობრივი საშუალებები (გაიხსენეთ საკუთარი დამოკიდებულების გამომხატველი ფორმები – ჩართული);
- ეცადეთ, არ გადაუხვიოთ სათქმელს და დასაბუთებისას სხვა მიმართულებით არ განავითაროთ მსჯელობა, ეს უარყოფითად აისახება თქვენ მიერ შექმნილ ტექსტზე;
- ეცადეთ, წეროთ მარტივად და ნათლად; რთული ან ზედმეტად ვრცელი წინადადებები სტილურ ნაკლად ითვლება;
- დაუკვირდით, ლოგიკურად და თანმიმდევრულად განავითარეთ თუ არა მსჯელობა? თუ არა, შეეცადეთ შავ ვარიანტში შეიტანოთ მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- ტექსტის გადაიკითხვის შემდეგ შეგიძლიათ გადაშალოთ რომელიმე წინადადება ან ჩამატების აღნიშვნით დაუმატოთ ახალი მოსაზრება;

აქვეა წარმოდგენილი ენობრივი საშუალებები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოთ ტექსტში (ჩვენ მხოლოდ სავარაუდოდ გამოსაყენებელ რამდენიმე ფრაზას გთავაზობთ). გირჩევთ, მსჯელობა ისე განავითაროთ, რომ თქვენი ინდივიდუალური ხედვა ჩანდეს, ამისათვის არ მოერიდოთ თუნდაც **შეკითხვის დასმას და პასუხს; საპირისპირო მოსაზრების ჩვენებას და მის კრიტიკულ ანალიზს, ვარაუდის გამოთქმას და შემდეგ დასაბუთებას, სხვათა მოსაზრების უარყოფას თქვენი დასაბუთებული მსჯელობით, ცხოვრებისეული გამოცდილების დამოწმებას...**

<b>შესავალ ნაწილში</b>	შევეცდებით ვიმსჯელოთ... ჩვენი მიზანია... ნაწარმოების მთავარი იდეა... მოცემული მონაკვეთის მთავარი თემა...
<b>ძირითად ნაწილში</b>	ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებლად შეიძლება გავიხსენოთ... მივყვით მსჯელობას... ჯერ ერთი... მეორეც... შეიძლება ვიფიქროთ... პრობლემა მე ამგვარად მესახება... როგორ შეიძლება ავხსნათ ეს?... ყურადღებაამისაქცევია ის გარემოება, რომ... საინტერესოა, რომ... საფიქრებელია, რომ... მე მახსენდება... პარალელის გავლება შეიძლება... საკითხი შეიძლება დაუკავშიროთ...
<b>დასკვნით ნაწილში</b>	როგორც უკვე აღვნიშნეთ... დასკვნის სახით შეიძლება ითქვას... საბოლოოდ შეიძლება ითქვას... დასასრულ, შეიძლება ითქვას... აღნიშნულ საკითხზე ჩვენი აზრი ასეთია... ჩვენ ვფიქრობთ, რომ... ამრიგად... ასე რომ, ...

აქვე შემოგთავაზებთ ზოგიერთი სახის ტექსტის შექმნის პრინციპებს.

#### I. დახასიათებითი ესე

დახასიათების ტიპის ტექსტი იქმნება ნაწარმოების პერსონაჟის დახასიათების მიზნით. ამგვარ ესეში ტექსტის შემქმნელის, ანუ ავტორის, მიზანია განსაზღვროს პერსონაჟის ხასიათი, მისი როლი ნაწარმოებში და საკუთარი დამოკიდებულება ამ პერსონაჟისადმი. გთავაზობთ საკითხების ჩამონათვალს, რომელიც დაგეხმარებათ ამ ტიპის ესეს შექმნაში (მოცემული საკითხები სურვილისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ, არაა აუცილებელი ყველა პუნქტის თანმიმდევრობით გათვალისწინება).

## პერსონაჟი

ვინაობა;  
გარეგნობა, დამახასიათებელი ნიშნები;  
წარმომავლობა;  
ხასიათი;  
ხასიათის გამოვლინებები;  
პერსონაჟის როლი ეპიზოდში ან ნაწარმოებში;  
ურთიერთობა სხვა გმირებთან;  
გმირის ცნობიერებაში მომხდარი ცვლილება და ამ ცვლილების ანალიზი;  
ავტორისეული დამოკიდებულება პერსონაჟისადმი;  
საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟისადმი;  
პერსონაჟის შეფასება;  
პარალელი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან;  
დასკვნა-შეჯამება.

## II. ანალიტიკური ანგარიში

ესე არის პირადი დამოკიდებულების გამოხატვა რაიმე საკითხისადმი. ამდენად, ანალიტიკურ ესეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტორისეული მოსაზრების წარმოდგენას და დასაბუთებას. ესე წერისას ეცადეთ იყოთ თანმიმდევრული და თამამად გამოთქვით თქვენი მოსაზრებები.

გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები:

1. რატომ წერთ ამ თემაზე? გაქვთ თქვენეული დამოკიდებულება / პრობლემის გადაჭრის თქვენეული ხედვა?
2. ხომ არ გახსენდებათ რაიმე ორიგინალური აზრი ან გამონათქვამი განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, ან თქვენ ხომ არ გიფიქრიათ ამ თემაზე; მოკლედ, მაგრამ ორიგინალურად გამოთქვით თქვენი მოსაზრება.
3. ძირითად ნაწილში წარმოადგინეთ მოპოვებული მასალის განხილვა-ანალიზი ან თქვენი აზრი ლოგიკური თანმიმდევრობით; **რას ფიქრობთ** განსახილველ საკითხზე და **რატომ ფიქრობთ ასე?**
4. რით შეგიძლიათ თქვენი მოსაზრების დასაბუთება (შეგიძლიათ მოიხმოთ და განსახილველ საკითხს დაუკავშიროთ რაიმე ციტატა, გაიხსენოთ ფილმი, გამოჩენილი ადამიანის ცხოვრება ან შემოქმედება, ასევე შეგიძლიათ გამოთქვათ მოსაზრება თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით და დაუკავშიროთ იგი განსახილველ საკითხს)
5. შეაჯამეთ თქვენ მიერ განვითარებული მსჯელობა და ლოგიკურად გამოიყვანეთ დასკვნა; დასკვნაც, ისევე როგორც შესავალი, უნდა იყოს მოკლე, ლაკონიური, ორიგინალური და ტევადი, იგი უნდა იყოს ლოგიკური შეჯამება მსჯელობისა და ასევე ნათლად უნდა ავლენდეს თქვენს დამოკიდებულებას.

## III. რეზიუმე

რეზიუმე არის სამეცნიერო ხასიათის ნაშრომი, მისი სტილი, შესაბამისად, სამეცნიეროა. რეზიუმეში განიხილება სხვა მეცნიერთა მოსაზრებები განსახილველ საკითხზე და გამოთქმულია რეზიუმის ავტორის დამოკიდებულება როგორც აღნიშნული საკითხისადმი, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებისადმი. რეზიუმეშიც სამი ნაწილისაგან შედგება (**შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა**).

### რეზიუმის შექმნისას შეგიძლიათ მიჰყევთ გეგმას

განსახილველი საკითხის [მეცნიერული] მნიშვნელობა  
განსახილველ საკითხზე არსებული [სამეცნიერო] ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა;  
თქვენ მიერ მოპოვებული მასალის კლასიფიკაციის პრინციპები (ანუ როგორ და რატომ წარმოადგინეთ ასე მასალა, რა პრინციპით ხელმძღვანელობდით);  
მასალის ანალიზი;  
დასკვნა-ანალიზი;

## IV. რეცენზია

რეცენზია არის ლიტერატურული ან სამეცნიერო ხასიათის ნაშრომის, კინოფილმის, სპექტაკლის კრიტიკული ანალიზი, გარჩევა-განხილვა. რეცენზია შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი. რეცენზიის ავტორი გამოსატყვის თავის ობიექტურ დამოკიდებულებას განსახილველი ნაშრომისადმი. რეცენზია შემდეგი გეგმით შეიძლება აიგოს:

განსახილველი ნაშრომისა და ავტორის დასახელება;  
განსახილველი ნაშრომის აღწერა;  
ნაშრომის დადებითი მხარეების გამოკვეთა;  
შენიშვნები ნაშრომზე;  
კეთილგანწყობილი რჩევები და სურვილები.

შემოგთავაზებთ ანალიტიკური ესესა და რეცენზიის ნიმუშებს. ნიმუშებზე დაკვირვებაც დაგეხმარებათ იმაში, რომ თქვენ თავად შექმნათ ამ ტიპის ტექსტები:

## პროვნული და დასავლური

კამათი იდეოლოგიის შესახებ, რომელიც ქართულ საზოგადოებაში მიმდინარეობს, ცხადყოფს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის არარსებობას თუ უკმარისობას ჩვენს ცხოვრებაში (რასაკვირველია, იგულისხმება, რომ ეს არ არის მატერიალური რამ).

ვფიქრობთ, რომ ეს „რაღაც“, რასაც კამათის მონანილეთა ნაწილი „ეროვნულ იდეოლოგიას“ უწოდებს, სინამდვილეში არის მკაფიო ნაციონალური თვითდენტიფიკაცია, თვითგაგება – ერის მიერ საკუთარი არსების და ყოფიერების საზრისის პოზიტიური ხედვა, სამყაროში თავისი დანიშნულების, მონოდების განსაზღვრა.

ეს კი დაკარგულია და იქმნება ვაკუუმი, რომლის არსებობაც განსაკუთრებით ხელისშემშლელია და სახიფათოც არის მაშინ, როცა ახალი სახელმწიფო ფუძნდება.

ქართულმა ნაციონალურმა თვითგაგებამ ჩვენს საუკუნეში არარეალისტური ხასიათი შეიძინა და სინამდვილის მიერ მოწყობილ უშეღავათო შემონმებას ვერ გაუძლო. ეს, ერთი მხრივ, ეროვნულ ნიჰილიზმს აჩენს, მაგრამ, მეორე მხრივ, იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ჩამოყალიბდეს ახალი ეროვნული თვითცნობიერება – რეალობის მკვიდრ ნიადაგზე, სიცრუის და თავისმოტყუების გარეშე.

ინდივიდმა შეიძლება მთელი ცხოვრება პესიმისტურად თუ ნიჰილისტურად განწყობილმა გალიოს, მაგრამ საზოგადოება თავისი ბუნებით ოპტიმისტური მსოფლმხედველობისკენ მსწრაფველია. მას უსათუოდ ესაჭიროება პოზიტიური მრწამსი, ფასეულობები და თუ არსებობის გაგრძელების ნება და ძალა აქვს, ადრე თუ გვიან მოიპოვებს კიდეც მათ.

ჩვენ ზოგჯერ გგვონია, რომ დასავლური ცივილიზაცია ტოტალურად ურწმუნო და ნიჰილისტურია. თუმცა ამ ცივილიზაციას მართლაც აქვს თავისი სერიოზული პრობლემები, მაგრამ საფუძვლად დადებული ჭეშმარიტებები დასავლური საზოგადოების დიდი უმრავლესობის მიერ ორგანულად არის შეთვისებული. კერძოდ, ის, რომ სახელმწიფოს დემოკრატიული, კანონის უზენაესობაზე დამყარებული წყობა ყველაზე სამართლიანი და ნაყოფიერია; რომ აზრთა და პოზიციათა მრავალფეროვნება, პლურალიზმი ბუნებრივი და აუცილებელია; რომ პიროვნების თავისუფლება, ღირსება ხელშეუხებელია და მას უნდა ჰქონდეს საშუალება თვითონ განსაზღვროს თავისი მსოფლმხედველობა, ცხოვრების წესი, გამოავლინოს თავისი უნარი და შესაძლებლობები... დასავლურ სამყაროში ეს ჭეშმარიტებები და ფასეულობები რომ არ წამდეთ, მათ ცოცხლად რომ არ განიცდიდნენ, ამ სამყაროს დიდი ხანია კრახი არ აცდებოდა.

ჩვენთვის ეს ფასეულობები უცნობი არ არის, მაგრამ მათ ვერ შეიძინეს ისეთი მიმზიდველობა, რომ რწმენის საგნად იქცნენ, სასიცოცხლო ძალების მომცემი, ქმედითი ეთნოსი წარმოშვან. ცხადია, ამას თავისი მიზეზები აქვს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი, ალბათ, ის არის, რომ ძველი, საბჭოთა სისტემის დაშლა განხორციელდა იმის შედეგად, რასაც უწოდებენ „რევოლუციას ზემოდან“ და საზოგადოებაში ახალი ფასეულობები, მათი დამკვიდრების მოთხოვნილება შინაგანად, სპონტანურად არ აღმოცენებულა და მომნიშვნელოვან... ამიტომ გვეჩვენება, რომ თავს გვახვევენ რაღაც ჩვენს არსებასთან სრულიად შეუთავსებელს და უცხოს.

სინამდვილეში დასავლურ ფასეულობებს და ქართული კულტურის ღრმა ტენდენციებს შორის გარკვეული თანხმიერება არსებობს და ამის აქცენტირებაც არის საჭირო, რათა ახალმა ღირებულებებრივმა ორიენტირებმა ჩვენს საზოგადოებაში სიცოცხლისუნარიანობა მოიპოვონ.

ის, რაც ქართული კულტურის შუაგულშია განფენილი და რასაც შეუძლია „შორეული“ ფასეულობები ჩვენთვის ახლობელი გახადოს, არის ჰუმანიზმი, მსოფლგაგება, რომელმაც დასავლურ სამყაროში ეს ფასეულობები ჩამოაყალიბა. ქართულ მსოფლმხედვაში არსებითია ადამიანის უმაღლესი ფასეულობის და ღირსების ინტენსიური განცდა, ნდობა ადამიანის კეთილი ბუნების და შემოქმედებითი შესაძლებლობებისადმი, რწმენა, რომ სამყარო ადამიანის ბედნიერებისთვის არის შექმნილი... ქართული კულტურის ჰუმანიზმი თავის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებებში თავისებური პერსონალიზმის სახეს იძენს – პიროვნების სრულყოფილი თვითგანხორციელება სამყაროს არსებობის გამართლება და მიზანი; პიროვნებაა ის ძალა, რომელიც სამყაროს გარდაქმნას, სრულქმნას ესწრაფვის; პიროვნებაში იბადება ჭეშმარიტების შუქი, რომელიც სინამდვილის ჰარმონიას თუ დის-ჰარმონიას ნათელს ფენს; პიროვნების სიღრმისეულ მისწრაფებებთან შესაბამისობით ან შეუსაბამობით განიზომება სახელმწიფოს და საზოგადოების ნამდვილი ფასი; სამყაროში მოქმედ ტლანქ, ქვენა ძალებს შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ პიროვნებათა სოლიდარობა, თვითმყოფად პიროვნებათა პოლიფონიური ანსამბლი; ამქვეყნად უმშვენიერესია განსხვავებულ პიროვნებათა ნამდვილი კომუნიკაცია, დიალოგი და დაახლოება, მათი უნარი, დაძლიონ სიუცხოვე და გაიგონ სხვისი განუმეორებელი თავისებურება, სხვისი თვალსაზრისი და სიმართლე... ასე იკვეთება ქრისტიანობაზე დაყრდნობილი ქართული ნაციონალური მსოფლმხედველობა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველი ეპიკოსი მწერლის, რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში და ამ მსოფლმხედველობის ანაბეჭდები მეტნაკლებად ჩვენი კულტურის სხვა ღირებულ ნიმუშებსაც ემჩნევა.

ჩვენი აზრით, დაახლოებით ამგვარი რამ შეიძლება წარმოვიდგინოთ „ეროვნული იდეოლოგიის“ შინაარსად და არა გაქვავებულ შეხედულებათა, დოგმათა, ყალბ მითოლოგიებათა მძიმე ბლოკი. და კიდევ, ჰუმანიზმი მოიცავს პატრიოტიზმსაც, რომელიც თავისი არსით სწორედ ჰუმანისტური, ადამიანური ღირსების გრძნობის განმამტკიცებელი ფენომენია, პიროვნების სრულყოფილი თვითრეალიზების ერთ-ერთი ზნეობრივი საყრდენია და დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს, როგორც შეუცვლელი ჰუმანისტურ-ზნეობრივი ფასეულობის აღიარებას გულისხმობს.

ოღონდ არ არსებობს არავითარი საჭიროება, ყოველივე ამას იდეოლოგიის, მითუმეტეს სახელმწიფო იდეოლოგიის შელახული და უსიამოვნო ასოციაციების აღმძვრელი ცნება დავუკავშიროთ. ეს ცნება არ ესადაგება ეროვნული თვითშეგნების, თვითიდენტიფიკაციის აღდგენა-განახლებას, იმის გააზრებას, რომ ჰუმანიზმი ჩვენი ეროვნული მსოფლგაგების ბირთვია, რომ ჩვენი იდეალი ჰუმანური, პიროვნების პრიმატის დამამკვიდრებელი ქართული საზოგადოება და სახელმწიფოა. დღეს ამ იდეალს ტრაგიკულად ვართ დამორბეული.

ჰუმანიზმის ხელახალი აღმოჩენა დასავლური ფასეულობის დამკვიდრებასაც ნიშნავს, რადგან იგი ჩვენს ეროვნულ მსოფლმხედველობასაც უდევს საფუძვლად და დასავლურსაც. ჩვენ იმდენად შევინარჩუნებთ თვითმყოფად ნაციონალურ სულიერ წყობას, რამდენადაც შევძლებთ ჰუმანიზმის აღორძინებას და თუ ასეთი რამ მართლა მოხდება, იმავდროულად ეს იქნება დასავლეთთან ნამდვილი, სიღრმისეული და არა ზედაპირული დაახლოება.

თამაზ ვასაძე

### ჩვენი უპირველესი საზრუნავი (რეცენზია)

გამოვიდა შუქია აფრიდონიძის „ჩვენი ენა ქართული“ – სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხებს ეძღვნება. ნაშრომს საფუძვლად დაედო ავტორის ყოველკვირეული ხუთნუთიანი სატელევიზიო საუბრები, რომლებიც საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით (რუბრიკით „ჩვენი ენა ქართული“) გადაიცა 1998-1999 წლებში.

სატელევიზიო საუბრები მიზნად ისახავდა ენობრივი შეცდომების აღმოფხვრას და ამით ზეპირი თუ წერილი მეტყველების კულტურის დონის ამაღლებას მოსახლეობის ფართო ფენებში.

საუბრების თემად შერჩეული იყო ჩვენს სინამდვილეში ფართოდ ფეხმოკიდებული ტიპობრივი ენობრივი შეცდომა-უზუსტობანი. ახსნილია არასწორ ფორმათა წარმოშობის მიზეზები და რეკლამის სახით მოწოდებულია სწორი ვარიანტები.

წიგნში თემატურად მრავალფეროვანი მასალაა წარმოდგენილი. ამის ნათელ ილუსტრაციად სარჩევსათვის თვალის გადავლებაც იკმარება. მსჯელობის საგნად არის ქცეული ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სადღეისოდ ყველაზე აქტუალური საკითხები მართლწერის, გრამატიკის, ლექსიკა-ფრაზეოლოგიისა თუ სტილისტიკის სფეროდან.

სამსჯავროდ გამოტანილი ყველა საკითხი, როგორც ერთი ჯაჭვის ცალკეული რგოლი, თავისი დანიშნულებით ერთნაირად ღირებული და მნიშვნელოვანია, მაგრამ ამჯერად გარკვეული მოსაზრებით მაინც გამოვყოფდით უცხო სიტყვათა ქართულად გადმოცემის საკითხს – მარად ძველსა და მარად ახალ პრობლემას, რომელიც ახალი ენობრივი კონტაქტების შედეგად უცხო სიტყვათა მოძალეებისა და ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასების კვალობაზე დროდადრო ახალი თუ შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს ფართო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების გამო ქართველებს სწორედ ეს პრობლემა გვიდგას – საინფორმაციო საშუალებები აჭრელებულია ალტერნატიული ფორმებით: ტინეიჯერი და თინეიჯერი, სერტიფიკატი და სერტიფიკატი, კლინტონი და ქლინტონი, კვოტა და ქვოტა, კვორუმი და ქვორუმი... პარალელური ხმარება შეინიშნება გეოგრაფიულ სახელებშიც: თათრეთი და თათარსტანი, მოლდავეთი და მოლდოვა, ყალმუხეთი და კალმიკია, ბელორუსია და ბელარუსი და მისთ. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თუ არა შუქია აფრიდონიძის ფართო საენათმეცნიერო განსწავლულობა და ღრმა მეცნიერული ხედვა, გაჭირდებოდა მოდურ გატაცებათაგან თავის დაცვა და ტრადიციით განმტკიცებული მწირო ენობრივი პოზიციების შენარჩუნება.

ნაშრომის სპეციფიკისა და თავდაპირველი მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ამ მცირე მოცულობის განაკვეთებში, რომლებიც დამოუკიდებელ თემა-სტატიებს წარმოადგენენ, არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო საკითხთან დაკავშირებული ფართო მეცნიერული მსჯელობა სათანადო ტერმინოლოგიით. თუმცა ყოველი განაკვეთი მეცნიერული კვლევის შედეგებს ემყარება. აქ წარმოდგენილ თითქმის ყველა საკითხს ზურგს უმაგრებს მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და სპეციალურნორმატიული დანიშნულების სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული გამოკვლევები. საგანგებოდ შევნიშნავთ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ენის ნორმალიზაციის სფეროში უშუალოდ შუქია აფრიდონიძის მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.

ყოველი განაკვეთი ერთი პრინციპითაა აგებული – ერთ სტანდარტულ ჩარჩოსაა მისადაგებული. რაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სარეცენზიო ნაშრომის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

სტანდარტული სათაური და ქვესათაური ერთმანეთს ავსებს და ფაქტობრივად საკითხთან დაკავშირებულ მთელ ინფორმაციას მოიცავს: სათაურით ვიგებთ, რა საკითხი დაისმის: ქვესათაურით ვიგებთ, ენობრივ პრობლემათა რომელ სფეროს განეკუთვნება დასმული საკითხი. და კიდევ: სათაურითვე ვიგებთ, ალტერნატიულ ფორმათაგან (რომელიც თუ ან და კავშირებით არიან დაწყვილებული) რომელია სწორი, კერძოდ, ამ ნაშრომში გატარებული წესის თანახმად, თუ კავშირით დაწყვილებულ ფორმათაგან (მაგ.: ლირიული თუ ლირიკული?)

სწორია მარჯვენა მხარეს თუ კავშირის შემდეგ წარმოდგენილი ფორმა (ლირიკული). ხოლო და კავშირით დაწყებული ფორმები (მაგ.: მოთხოვნა და მოთხოვნილება) ორივე სწორია, ოღონდ განსხვავებულია მათი მოხმარების სფეროები. შეცდომის წყარო ხდება მათი ერთსა და იმავე კონტექსტებში მონაცვლეობა.

ასე რომ, მკითხველთა დიდი ნაწილი „პირველად სასწრაფო საენათმეცნიერო დახმარებას“ და თავისთვის აუცილებელ და საკმარის ინფორმაციას სრულიად უმტიკვენეულოდ უკვე სათაურებითა და ქვესათაურებით მიიღებს, რაც მასობრივ მკითხველზე გათვლილი საცნობარო ხასიათის ნაშრომის კიდევ ერთ ღირსებად გვესახება.

ნაშრომი შეიცავს ერთგვარ პრაქტიკულ სიახლესაც: ყოველ განაკვეთს ახლავს დამოუკიდებელი სავარჯიშო – 10-20 წინადადების შემცველი ტესტი, და რაც ასევე სასიამოვნო სიახლეა, ნაშრომს ბოლოს ტესტების პასუხებიც ერთვის. ეს დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას მისცემს სხვისი – კონსულტანტის დახმარების გარეშე შეამოწმოს თავისი ცოდნა.

კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე – თვალსაჩინოების შესანიშნავი ნიმუში, რომელსაც ტელევიზიასთან შემოქმედებით კონტაქტებს უნდა ვუმაღლოდეთ – არის საკითხზე მსჯელობის დასასრულს „რეკლამის წესით“ – მსხვილი შრიფტით მონოდებული სწორი ფორმები (სხვათა შორის, გამომცემლებს ამ თვალსაზრისით უფრო მეტი შემოქმედებითი ინიციატივა რომ გამოეჩინათ, ეფექტი გაცილებით უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა).

საგანგებო აღნიშვნის ღირსია დამაინტრიგებელი კითხვა-პასუხები და რეკომენდაციები, რომლებიც მკითხველს მსჯელობის მონაწილედ აქცევს და მას ნაშრომის ავტორთან კონტაქტისა და თანამშრომლობის სასიამოვნო ილუზიას უქმნის. „მაშ როგორღა გავარჩიოთ სწორი ფორმები არასწორისგან?“ – დაისმის კითხვა. „სულ მარტივად“ – არის პასუხი და პასუხად კი – წესი. საოცრად მარტივი. ადვილად დასამახსოვრებელი და ასევე ადვილად მოსახმარი; ან კიდევ: „იმის შემოწმება, თუ სად რომელი დაბოლოება უნდა ვიხმაროთ, ძალზე ადვილია...“ – და მონოდებულია რეკომენდაცია, რომელიც მართლა ძალზე ადვილია: მითითება ხდება ტრადიციულ, ძვალსა და რბილში გამჯდარ ისეთ ფორმაზე, რომლის სხვაგვარად ხმარება წარმოუდგენელია. არცთუ იშვიათად სწორი ფორმების გამოსაცნობად „არატრადიციული“ მეთოდები – მარტივი „შინაურული რეცეპტებიც“ არის შემოთავაზებული.

სიმარტივის ეს განცდა და საკითხთან გაშიანურების შესაძლებლობა კი, ჩვენი ღრმა რწმენით, მშობლიური ენის მიმართ ბევრ გულგრილ მკითხველსაც დააინტერესებს და მოიზიდავს, რაც ჩვენს სინამდვილეში არანაკლებ მნიშვნელოვანი და დასაფასებელია.

როგორც ითქვამს, თავდაპირველი მიზანდასახულობით ჯერ სატელევიზიო საუბრები, შემდეგ კი წიგნი, მოსახლეობის ფართო ფენებზე იყო ორიენტირებული. ამიტომ სავსებით გასაგები მიზეზების გამო სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგია შეზღუდულად იქნა გამოყენებული.

„ჩვენი ენა ქართული“ კეთილ მრჩევლად და სანდო მეგზურად გამოადგება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს – ფაქტობრივად მათ, ვისაც ხელთ უპყრია სალიტერატურო ენის სადავეები და ვინც ამინდს ქმნის ჩვენს სულიერ ცხოვრებაში. იგი დიდად შეუწყობს ხელს მშობლიური ენის წიაღში წვდომას და მეტყველების კულტურის დონის ამაღლებას.

დასასრულ, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს მიძღვნილი სტრიქონი, რომელსაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და რომელშიც ნაშრომის ავტორის უკეთილშობილესი მიზანია გაცხადებული. საცნაურია, რომ წიგნი ეძღვნება საქართველოს მომავალს – „ჩვენი სკოლის გოგო-ბიჭებს – ყველა ანოსა და ვანოს – დედაენის მომავალ ქომავებსა და გუშავებს“.

ჭეშმარიტად, ჩვენ პატარა ერის შვილები ვართ და, თუ არა ყველა ანოსა და ყველა ვანოს გამძაფრებული ეროვნული თვითშეგნება და გაცნობიერებული, მიზანმიმართული საერთო ძალისხმევა, ალბათ გაგვიჭირდება ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ენისათვის პატივისა და ღირსების შენარჩუნება.

ვიოლა კალანდაძე  
(„ბურჯი ეროვნებისა“ 2003 №1-2)

## ჩვენ თავად ვქმნით ტექსტს

### I. დაწერეთ ესე:

რა არის ლიტერატურა.

### II. დაწერეთ რეცენზია:

ახლახან ნანახ ფილმზე;

ახლახან ნაკითხულ წიგნზე;

რომელიმე ტელეგადაცემის შესახებ;

თქვენი თანაკლასელის ესეზე;

## ენით გამოსატული სამყარო

### ფრაზეოლოგია

ყოველი ერი ენის მეშვეობით აღიქვამს სამყაროს და ენით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას სამყაროსადმი.  
ენის ღრმა ცოდნა სწორედ ამ აღქმის ფლობა და გათავისებაა.

1. ქვემოთ მოყვანილია წინადადებები ქართული ლიტერატურიდან. ჩასვით შესაფერისი ფრაზეოლოგიზმი წინადადებაში და განმარტეთ თითოეული მათგანი.

ერთ უღელში შებმულან  
აირია მონასტერი  
დევი ყურით არ დაუჭერიათ  
ემშაკის კერძად არ გამხადო  
გადაუბრუნდა ფეხი  
აინუნშიაც არავინ მოსდის  
ქათმების შესხდომის დრომ მოაღწია  
ახალი ცოცხია და კარგად ჰგვისო

1. ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენიათ გიორგიზე... გიორგის კი -----  
----- . (ილია)
  2. ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს? – ერთს საღამოს ლუარსაბმა თავის მეუღლეს ჰკითხა,  
როცა ----- . (ილია)
  3. გასჭრა ღვინომ, -----, ყველა მღეროდა, ყველა  
ცეკვავდა. (ვ. ბარნოვი)
  4. -----, ამბობდნენ დაცინვით ზოგიერთნი ახალს  
მოჯამაგირებედ. (ილია)
  5. მაყაშვილი თეირანში იყო გამოზრდილი ყმანვილობიდანვე და ერთ დროს დიდი ადგილიც ეჭირა სასა-  
ხლის კარზე, მაგრამ ცოტა რამეზე ----- და შერისხუ-  
ლი გამოისტუმრეს თავისი ქვეყნისაკენ. (აკაკი)
  6. მართალია ----- სიძე-ცოლისძმას, მაგრამ ბევრჯერ კი კარ-  
გი სამსახური გაუწიეს იმერეთს. (აკაკი)
  7. ეჰ, რაც არის, არის... -----, მკვდარს დამიურვე, მიპა-  
ტრონეო. (ილია)
  8. აგერ უკვე ოცი წელია, რაც ლუარსაბი და დარეჯანი ----- . (ილია)
2. დააწყვილეთ ფრაზეოლოგიზმი მის განმარტებასთან:

წყლიდან მშრალად ამოვიდა. პირში ჩალას გამოავლებს. გულიდან ამოიგლეჯს. გული ეუბნება. კრიჭას შეიკრავს. ყელში დანას გამოუსვამს. გული გადაუბრუნდა. პირში ბურთს ჩაჩრის. გულზე დაანვა. ლელოს გაიტანს. გულზე ცეცხლი მოეკიდა. გული გადააყოლა. სიტყვა ბანზე ააგდო.

გააჩუმებს. თავი მოხერხებულად დაიძვრინა. გაერთო. დადუმდება. მიზანს მიაღწევს. საუბრის თემა განზრახ შეცვალა. დაივინყებს. გაბრაზდა. დალუპავს. შეეშინდა. გრძნობს. დადარდიანდა. მოატყუებს.

3. შემოხაზეთ სწორი განმარტება:

1. **დამწვარზე მღულარე გადაესხა** – 1. დაილუპა; 2. ერთ უბედურებას მეორე დაემატა; 3. გაღატაკდა.
2. **დაღის დასმა** – 1. დამჩნევა; 2. გაღამაზება; 3. დაუშნოვება.
3. **ეკლის გვირგვინი** – 1. დიდი გარჯა; 2. დიდი ნებისყოფა; 3. დიდი ტანჯვა.
4. **ზურგის ჩვენება** – 1. ლაჩრობა; 2. გაბრაზება; 3. უარის თქმა.
5. **თვალის გადავლება** – 1. შეხედვა; 2. გადათვალერება; 3. გაანალიზება.
6. **კბილებში ოფლი ადინა** – 1. გააბრაზა; 2. გაამხიარულა; 3. ცუდი დღე დააყენა.
7. **მჭადი გატეხილია** – 1. სუფრა განყობილია; 2. საქმე გაკეთებულია; 3. საქმე გაფუჭებულია, გამოკეთება აღარ შეიძლება.
8. **პირში ბურთის ჩაჩრა** – 1. გაოცება; 2. გაჩუმება; 3. აღშფოთება.
9. **სისხლის გაშრობა** – 1. დაავადმყოფება; 2. ფერის შეცვლა; 3. თავის მობეზრება.
10. **ქანცის განწყვეტა** – 1. ძალიან დაღლა; 2. მოთმინების დაკარგვა; 3. იმედის გადანურვა.
11. **ქერის ორმოში ჩავარდნა** – 1. დალუპვა; 2. გამართლება; 3. გაჭირვება.

12. ქვასაც კი წყალს გამოადენს – 1. შურიანია; 2. მოხერხებულია; 3. ღონიერია;
13. შენს ქერქში იყავი – 1. რაც გაქვს, იმას დასჯერდი; 2. რაც გინდა, ის გააკეთე; 3. შენს ოჯახს მიხედე.
14. ჩაილურის წყალი დალია – 1. შორს ნავიდა; 2. უკვალოდ დაიკარგა; 3. დაკმაყოფილდა.
15. ჩარხი უკუღმა დატრიალდა – 1. საქმე ცუდად ნავიდა; 2. ახალი რამ დაიწყო; 3. საქმე სწრაფად ნავიდა.
16. ცას ეპოტინება – 1. ამპარტავნობს; 2. უხარია; 3. შეშინებულია.
17. ნელში გამართვა – 1. გაიზარდა; 2. გამაღლდა; 3. გამდიდრდა.
18. ხელის გამართვა – 1. დახმარება; 2. გაცნობა; 3. მისალმება.
19. ჯვრის ზიდვა – 1. წმინდად ცხოვრება; 2. ტანჯვის გაძლება; 3. სიხარულის განცდა.
20. ჯიბიდან გავარდნილი – 1. თავზეხელაღებული; 2. დაკარგული; 3. გაღარიბებული;

4. ბიბლიამ უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის აზროვნებაზე, რაც ფრაზეოლოგიზმებშიც აისახა. ქვემოთ მოცემულია სწორედ ასეთი ფრაზეოლოგიური გამოთქმები. დაუკავშირეთ ერთმანეთს ფრაზეოლოგია და განმარტება:

1. აბრაამის ბატკანი/ მამა აბრაამის ბატკანი	ა. უხვი სუფრა
2. აბრაამის ტაბლა	ბ. სამაგიეროს გადახდა, ანგარიშსწორება
3. ადამის ყამის	გ. უდანაშაულო, უბრალო
4. ადამის შვილი	დ. ნამება, დაუსრულებელი ტანჯვა
5. განკითხვის დღე	ე. სხვის მაგიერ პასუხისმგებელი
6. გენია, გენიის ცეცხლი	ვ. უსაზღვრო მოთმინება, დიდი ტანჯვის განცდა
7. გოლგოთა	ზ. ძალზე მოხუცი (ირონ.)
8. ედემი	თ. მოღალატე
9. განტევების ვაცი	ი. დიდი ხნის, ძველისძველი
10. თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ	კ. მოღალატე, გამცემი, დაუნდობელი
11. იობის მოთმინება	ლ. გასამრჯელო ღალატისთვის
12. იუდა	მ. პასუხისგების, გასამართლების დრო
13. იუდას ამბორი	ნ. ადამიანი, რომელსაც ვერაფერში დააჯერებ
14. იუდას კერძი	ო. უზარმაზარი სათავსო, შენობა, ნაგებობა
15. მათუსალას ხნისა	პ. ადამიანი, სულიერი არსება
16. ოცდაათი ვერცხლი	ჟ. უყურადღებოდ დატოვებული მოწოდება, რჩევა
17. ნოეს კიდობანი	რ. ღალატი, გამცემლობა
18. პური ჩვენი არსობისა	ს. საუკუნო ნეტარების ადგილი
19. ურწმუნო თომა	ტ. უზომო ტანჯვა, უბედურება
20. ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა	უ. არსებობისათვის აუცილებელი რამე, საარსებო მოთხოვნილების საგანი

5. შეადგინეთ ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით წინადადებები.

**ნიმუში:**

კიდევ ძალიან ბევრი რამ მინდოდა მეთქვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ნათქვამი კვლავ დარჩება **ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა**.

6. ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმის შექმნას მითოლოგიური აზროვნება უდევს საფუძვლად. მოუძებნეთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმას სწორი განმარტება:

1. აქილევსის ქუსლი	ა. რთული მდგომარეობიდან თავდასაღწევი საშუალება
--------------------	--



2. არიადნეს ძაფი	ბ. მოსალოდნელი საშიშროება, მოახლოებული საფრთხე
3. გორდიას ნასკვი	გ. ტკბილხმოვანება
4. დამოკლეს მახვილი	დ. ვისიმე სუსტი მხარე, სუსტი ადგილი
5. დიოგენეს ფარანი	ე. დიდი შიში
6. ეოლოსის ქნარი	ვ. მეტად რთული და დახლართული საკითხი
7. პროკრუსტეს სარეცელი	ზ. უსარგებლო შრომა
8. სიზიფეს შრომა	თ. ხანგრძლივი დავისა და უსიამოვნების გამომწვევი მიზეზი
9. განხეთქილების ვაშლი	ი. ძნელად საპოვნელის ძიება, ჭეშმარიტების ძიება
10. პანიკური შიში	კ. შეუფერებელი საზომი, რომელიც არავის არგია და მხოლოდ ზიანი მოაქვს

7. შეადგინეთ წინადადებები ზემოთ მოცემული მოცემული ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით;

**ნიმუში:**

აფხაზეთი და სამაჩაბლო კარგა ხანია იქცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში **განხეთქილების ვაშლად**.

8. მოცემულია ორი ჯგუფი ფრაზეოლოგიზმებისა. იპოვეთ და დააწყვილეთ მსგავსი მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმები:

<p>არაფრად აგდებს ვარსკვლავებს ეთამაშება ხმა გაკმინდა გრძელი დღე არ აქვს პირში წყალს ჩაიგუბებს მაგრად დგას ლეჩაქის დახურვა მზის დაბნელება პირში ჩალის გამოვლება ბედნიერი დღე გაუთენდა სული მისდის უკან დახევა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ფეხზე დადგომა საღერღელის აშლა სულის დაღევა სულის გატვრენა სულის განაბვა ქვა ქვაზე არ დატოვა ტალახში ამოსვრა თქვენი ჭირი წაიღო სულმა წასძლია</p>	<p>მოთმინება ვერ ეყო არას დაგიდევს ავ თვალს არ ენახება ნაცარტუტად აქცია სახელის გატეხვა ფეხის მოკიდება მადის გაღვიძება სულის ამოხდომა ხმის გაკმენდა ჩააბარა სული უფალს ქუდის მოხდა სანამ ძალ-ღონე შესწევს სულის გატვრენა კრინტი არ დაძრა სიცოცხლეს გამოსალმება ცარიელზე დასმა სამოთხის კარი გაეღო მოთმინების ფიალა აევესო განზრახვაზე ხელის აღება ამ ქვეყანას აღარაა ხმას გაკმენდს ჯორზე შეჯდა და აღარ ჩამოდის</p>
---	--

9. ამოიწერეთ წინადადებებიდან ფრაზეოლოგიზმები, დაალაგეთ ისინი ანბანის მიხედვით და განმარტეთ:

1. თითქმის ოცდაათი წელიწადია მაგ დედაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია, ჯერ გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნი, მაგრამ დაუნუნიათ. (ილია)
2. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს. (ილია)
3. თავი წაგვჭამა მე და ხერიპსს: გამაგებინეთ ვინ არისო მისოუსტ? (კ. გამსახ.)

4. შენი სახელი ენაზე მადგია, გულს მანვება წარმოსათქმელად. (ნ. ლორთქ.)
5. რაც გითხარით, დაიხსომეთ და გუდა-ნაბადი აიკარით!. (მ. ჯავახ.)
6. იმას ეგონა, რომ ონისეს დიდი ხანი იყო, რაც გულიდან ამოელო და გადაეგდო, დაევიწყებინა. (ყაზბ.)
7. სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრებდა ხოლმე, ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა. (ილია)
8. წიგნების გაყიდვის ჯერი რომ მოვიდა, თეიმურაზმა მხოლოდ მაშინ იგრძნო და გაიგო, რომ იგი კარგა ხანია შეუდგა თავის გოლგოთას, რომლის მწვერვალი, შავი ნისლით დახურული, ჯერ არც კი მოჩანდა. (მ. ჯავახ.)
9. ასე გორგობენ არზაყან და თარაში, დიდ მოჯირითეებად თავი მოაქვთ. (კ. გამს.)
10. დროა ნილაბი ავხადოთ იმ ერთს გუნდს, რომლის მეცნიერნი ასეთს ყოფას გვანევენ ქართველებს. (ილია)
11. ლოპიანა კი თევზაობდა, კრივობდა, ჭიდაობდა, თაბახი დაჰქონდა, მამლებსა და ყორებს სწვრთნიდა, საჯაროდ აჭიდავებდა, ჰყიდდა, ყიდულობდა, ნემსის ყუნწში ძვრებოდა და ალალი გულით ცხოვრობდა. (მ. ჯავახ.)
12. გამოცდილი სუტ-კნეინა მიხვდა, რასაც მოასწავებდა ეს ამბავი, მაგრამ თავი მოიკატუნა, მითამ და არაფერი იცის. (ილია)
13. გეგონა, არც შამფურს დასწავდი და არც მწვანდა? მგელსაც გააძლებდი და ბატკანსაც გადაარჩინდი? (მ. ჯავახ.)
14. ადე, რას ჰლმუი უპატრონო ძალსავეთ! – დასცინა მოხუცს ახალგაზრდა გლენმა ბიჭმა ამხანაგების სამასხაროდ, – შენც მითამ მარაქაში ერევი... შენი რაო? (ილია)
15. ლობე-ყორეს ნუ ედები! რა გინდა ჩემგან, რას მეტანები? (მ. ჯავახ.)
16. მიწაზე ფეხს აღარ ვაკარებდი: ცა ქუდად არ მიმარჩნდა და დედამინა ქალამნად! გული გრძნობად და გონება ოცნებად გადაქცეული მეშვიდე ცაზე მიმარჩნდნენ. (აკაკი)
17. როდესაც ცოტათი გათბა და სული მოიბრუნა, ის წამოდგა და ისევ გარეთ გავიდა. (ა. ყაზბ.)
18. მოგვებურდა თრევა კუს ნაბიჯით. (ი. აბაშიძე)
19. მან თავი ველარ გაართვა ძველქართულს, არაბულს, ირანულს, სომხურსა და ასურულ წარწერებს. (კ. გამს.)
20. ცდილობს თვისთავი იმდენად გამოაკეთოს, რომ საკუთარ ფეხზე დადგეს. (ილია)

10. მიუწერეთ განმარტებები (შეგიძლიათ დაიხმართო წიგნი: ალექსანდრე ონიანი, ქართული იდიომები):

ავ თვალს არ ენახება	
აზრზე არ არის	
ეკლებზე ზის	
არც ღვინო, არც წყალი	
მეორედ დაბადება	
ბუზიც არ აფრენია	
გუდას პირი მოხსნა	
გუნდრუკის კმევა	
დაბალი ლობე	
დედამინასთან გასწორება	
დროს მოკვლა	
დღის სინათლეზე გამოტანა	
ენა უჭრის	
ენაზე კბილების დაჭერა	
ენის დაშაქვრა	
ვარსკვლავებს ეთამაშება	
ვირზე შეჯდომა	
თავი კუდს ვერ მოიბრუნებს	
თავზე დასმა (ვინმესი)	
თავზე საყრელი	
თავზე ხელის ალება	
თავი ქუდში აქვს	
თავის გადადება	
თვალების ახელა	
თვალში მოსვლა	
თვალის დახამხამებაში	
იოტის ოდენა	
კალთის გადაფარება	
კვერის დაკვრა	
კოვზის ნაცარში ჩავარდნა	
ლეჩაქის ახდა	

მარჯვენის მოჭრა	
მეცამეტე გოჭი	
მზის გაქრობა	
მინასთან გასწორება	
მუსრის გავლება	
მშრალზე დასმა	
მხარში ამოდგომა	
ნაცრის ქექვა	
ნემსის ყუნწში გაძრომა	
ორ ცეცხლს შორის ჩავარდნა	
ორმოს გათხრა	
პირზე აკერია (ვინმე ან რამე)	
პირი წყლით აქვს სავსე	
პირში წყლის ჩაგუბება	
რძე არ შეშრობია პირზე	
საღერღელის აშლა	
ტალახში ამოსვრა	
ტვინის ადუღება	
ტყემალზე ზის	
ფეხზე დადგომა	
ფრთების გამოსხმა	
ქანცის განყვეტა	
ქერის ორმოში ჩავარდნა	
ლობე-ყორეს მოდება	
ყურების წაღება	
შავი კატის გადარბენა (ვინმეს შუა)	
შორს დაიჭირა	
შუბლზე აწერია	
ჩიტის რძე არ აკლია	
ჩალის გამოვლება პირში	
ცაში დაფრინავს	
ცამდე აყვანა	
ცეცხლზე ნავთის დასხმა	
ცხვირის აწევა	
ძალის ყბის გამობმა	
წელეებზე ფეხს იდგამს	
წერტილის დასმა	
წყლის ამღვრევა	
ხაზის გადასმა	
ხელის აშვება	
ხელის გამართვა	
ხელის დაბანა	
ჯვარს აცვა	
ჯოჯოხეთის მაშხალა	
ჯავრის ამოყრა	
ჯვარის ზიდვა	
ჯვარი ხომ არ დაგინერია?!	
ჯიბესთან უკაცრავად გახლავართ	
ჯიბიდან გავარდნილი	
ჯიბის გატენა	
ჯორზე შეჯდა	
ჯორიდან ჩამოსვლა	
ჯოხი ჩემზე გადატყდა	

## ჩვენ თავად ვქმნით ტექსტს

შეადგინეთ რამდენიმე ტექსტი:  
 მცირე ზომის მოთხრობა;  
 ჩანახატი;  
 ნოველა;

გამოიყენეთ მასში ფრაზეოლოგიზმები.

## სიტყვის კალა

### სინონიმია

სინონიმები მსგავსი მნიშვნელობის, მაგრამ ბგერობრივად განსხვავებული სიტყვებია. სინონიმები ამ-  
დიდრებს ენას, რადგან მათი მეშვეობით აზრი უფრო ზუსტად გამოიხატება.

#### I. დაანწყილეთ სინონიმები:

იაფი ხელსაყრელი მუსაიფი იმედდაკარგული ნადიმი უიმედო მაგიერი მახვილი სასონარკვეთილი კათხა საუბარი მოლაყბე ლაჩარი ლხინი მაგარი მარჯვე ყოჩალი მეგობარი მელოტი მწუხრი დამზრალი მიტოვება მიცემა მიჯნური მლიქვნელი ორმო მომაკვდავი მოჩხუბარი მხცოვანი მუდამ საქმის მცოდნე	ფხიანი ნაცვალი მკვრივი დაისი თავის დანებება გაყინული ბაასი სატრფო ხელსწრაფი დაშნა სწორი სულთამბრძოლი შფოთიანი ხარო ლაქუცა უსასოო ხანდაზმული ჭიქა ბოძება ჯაბანი საქმეში ჩახედული ნიადაგ ქაჩალი ყბედი ხელმისაწვდომი ქეიფი უსასოო სასომიხდილი ლაპარაკი იმედგადაწყვეტილი წვეულება
---	---

#### II. მოცემულია სინონიმური ფორმები. მიუწერეთ ახსნა და დაალაგეთ ისინი მახასიათებელი ნიშნის ზრდადო- ბის მიხედვით:

1.

მთვრალი გაღეშილი – ძალიან მთვრალი დანათვერი – გაღეჭებული – ღვინით გახეთქილი – ნასვამი – ღვინით გამტყვრალი – ღვინოში დამბალი – ღვინოში ჩაბუყებული – გამობრუყული – დაღეული –	შეზარხოშებული – შექეიფიანებული – ნაქეიფარი – ნაბახუსევი – ნაღვინევი – შეღვინიანებული – შებრუყული – გადაკრული – შეჭიკჭიკებული – მომთვრალო – ჩაბუყებული –
--	---